აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

კ ა ნ ო ნ ი

"23" ივლისი 2010
010.340.000.30.049.000.067

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში (გაზეთი „აჭარა" №209-210, 26.10.2004) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 პუნქტი:

„3^1. არჩეული უსკოს წევრის გარდაცვალების შემთხვევაში უმაღლესი საბჭო ცნობად იღებს აღნიშნულ ფაქტს, რაც ფორმდება უმაღლესი საბჭოს სხდომის საოქმო ჩანაწერით.".

2. 33-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. უსკოს ყველა დადგენილება „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონითა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში ქვეყნდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში", იგი შეიძლება გამოქვეყნდეს მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებითაც. უსკოს განკარგულება, რომელიც ეხება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ზ"-„კ", „ნ" და „პ"-„ს" ქვეპუნქტებში აღნიშნულ საკითხებს, აგრეთვე უსკოს თავმჯდომარის განკარგულება, რომელიც ეხება ამ კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე" და „ვ" ქვეპუნქტებში აღნიშნულ საკითხებს, კანონმდებლობით დადგენილი წესით ქვეყნდება გამოცემიდან 3 დღის ვადაში.".

3. 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს დროებით სამანდატო კომისიას, ხოლო სათანადო მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შემდეგ ამ კომისიას, გადასცემს უმაღლესი საბჭოს წევრად არჩეულ პირთა უფლებამოსილების შესამოწმებლად საჭირო დოკუმენტაციას;".

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე **ლევან ვარშალომიძე**

ბათუმი,
2010 წლის 10 აგვისტო
№85-უ.ს.რ.ს.